# ხელშეკრულება №2
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 21 თებერვალი, 2011 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ ქ. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლი"** (შემდგომში – შემსყიდველი), **დირექტორის დავით ოკუჯავას** სახით და მეორეს მხრივ **შპს „პრიმა აუდიტი", დირექტორის ლაშა მანიას** (შემდგომში – მიმწოდებელი/შემსრულებელი), სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. შესყიდვის ხელშეკრულების საგანია დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლის 2010 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების მომსახურების, შესაბამისი აუდიტორული დასკვნისა და რეკომენდაციების მიღება, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

## *2. ხელშეკრულების ობიექტი*

2.1. ხელშეკრულების ობიექტია **სსიპ დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლის** 2010 წლის საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაციის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის, მათი უტყუარობის, სისრულის და შესაბამისობის შემოწმება მოქმედ კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმატივებთან.

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. მომსახურების ღირებულება შეადგენს **500 (ხუთასი)**ლარს, თანმდევი ხარჯების (დღგ-ს) ჩათვლით.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი/შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის მომსახურების ხარისხი უპასუხებს მოცემულ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 10 მარტის ჩათვლით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გ.ჩიტაიას 21
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, რომლის საფუძველია აუდიტორის მიერ გამოცემული აუდიტორული დასკვნა და აუდიტორის სარეკომენდაციო წერილი.

## *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან/შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. შემსყიდველი თანახმაა, აუდიტორული შემოწმების მიზნით გადაურიცხოს შემსრულებელს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება წარმოდგენის შემთხვევაში (ანგარიშსწორება მოხდება საავანსო საბანკო გარანტიისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში).

.

7.5. საბოლოო ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
- უზრუნველყოს აუდიტორისათვის აუდიტის განსახორციელებლად საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციისა და მონაცემების დროული გადაცემა, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს, მისცეს აუდიტორს აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, შეუქმნას აუდიტორს მისი საქმიანობისათვის სათანადო პირობები.

8.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- კვალიფიციურად მოაწყოს აუდიტორული მომსახურება.
- აცნობოს შემსყიდველს და დამფუძნებელს აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები.
-წარუდგინოს შემსყიდველს აუდიტის საგანთან დაკავშირებული სამუშაო დოკუმენტები, შესაბამისი დასკვნა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 5.1. მუხლის შესაბამისად და მოქმედე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნ შესრულებამდე.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულე პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველ კნონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებ თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულებ ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| | |
|---|---|
| შემსრულებელი: | შემსყიდველი: |
| შპს „პრიმა აუდიტი“, | დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლი |
| დირექტორი ლ. მანია | დირექტორი, დავით ოკუჯავას |
| ქ. თბილისი | ქ. თბილისი.,ჩიტაიას 21 |
| ხიდის ქ. №1, სს “ბანკი ქართუ” | „ვითიბი ბანკი “, ა/ა3063408 , ბანკის კოდი :220101668 |
| | საიდენტიფიკაციო კოდი :249255345 |
| ა.ა. № 5000333602 კოდი 220101081 | |
| საიდ. კოდი: 206309582 | ტელ.891513645,44 |
| ტ. 368-333 | |

მიღება-ჩაბარების აქტი

21.02.2011 წ. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

ქ.თბილისი 2011წ. 10 მარტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ "მიმწოდებლად" წოდებული, შპს "პრიმა აუდუტის" დირექტორის ლაშა მანიას სახით და მეორე მხრივ "შემსყიდველად წოდებული, სსიპ ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. მუსიკალური სასწავლებელი სსიპ „სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. მუსიკალური სასწავლებელის დირექტორის დავით ოკუჯავას სახით, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ "მიმწოდებელმა" შეასრულა და "შემსყიდველმა" მიიღო 2011წ. 21 თებერვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შედეგი აუდიტორული დასკვნის სახით.

წარმოდგენილი სამუშაო შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს და ამ მხრივ, მხარეებს ერთმანეთთან რაიმე პრეტენზია არ გააჩნიათ.

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

სსიპ ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახ.
მუსიკალური სასწავლებელი

შპს "პრიმა აუდიტის"

დირექტორი: დირექტორი

მარინე შენგელია ლაშა მანია

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელი
Ministry of Gulture and Monument Protection of Ceorgia
LEPL THE D. ARAKISHVILI MUSICAL EDUCATIONAL OF SOKHUMI

22 „21“ მარტი 2011 წ.

ურთიერთშედარების აქტი #1

ჩვენ, ერთის მხრივ აფხაზეთის ა/რ ხსიპ ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორის დათო ოკუჯავას სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „პრიმა აუდიტის“ მისი წარმოდგენილი შემდგომში მიმწოდებელი დირექტორი ლაშა მანია ვადგენთ ურთიერთშედარების აქტს, რომ „დამკვეთს“ ერიცხება დავალიანებ „მიმწოდებლის“ მიმართ 500 (ხუთასი) ლარი. ურთიერთშედარების აქტი თანდართულ დოკუმენტაციით შედგენილია ორი თანაბარზომიერი ძალის მქონე ეგზემპლარად, რასა ვადასტურებთ ხელმოწერით.

დამკვეთი დ. ოკუჯავა

მიმწოდებელი ლ. მანია

თბილისი. ჩიტაიას ქ. №21 ტელ: 893 11 59 11
Tbilisi. Chitaia street . #21 Mob: 893 11 59 11